

## ENSEIGNER EN ANGLAIS DANS LES UNIVERSITES FRANÇAISES : QUELS EFFETS PRÉVISIBLES ? -საფრანგეთის უნივერსიტეტებში ინგლისურ ენაზე სწავლება: რა შედეგს შეიძლება ველოდოთ?

Claude Truchot-კლოდ ტრიუშო

სტრასბურგის უნივერსიტეტის პროფესორ ემერიტუსი

უმაღლესი განათლებისა და კვლევის პროგრამული კანონი, რომელიც დაკავშირებულია საფრანგეთის უნივერსიტეტის მიმზიდველობასთან, გვთავაზობს დაარღვიოს ფრანგულ ენაზე სწავლების, გამოცდების, კონკურსების ჩატარებისა და დისერტაციების დაცვის პრინციპი. ეს პრინციპი ჩაწერილია 1994 წლის კანონში, რომელსაც ტუბონის კანონსაც უწოდებენ და გამომდინარეობს კონსტიტუციის მეორე მუხლიდან, რომლის მიხედვითაც: „რესპუბლიკის ენა ფრანგულია“. სწავლების რაღაც ნაწილი, რომელიც უცხოურ უნივერსიტეტებთან შეთანხმების ან ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამების ჩარჩოებში ხორციელდება, ითვალისწინებს უცხოურ ენაზე, ანუ ინგლისურ ენაზე სწავლებას.

ვინაიდან საერთაშორისო მნიშვნელობის ყველა კურსი და დიპლომი აუცილებლად გულისხმობს იმ პარტნიორობას, სადაც უნივერსიტეტებში არსებულ ყველა მიმართულება საერთაშორისო დანიშნულებისაა, ამდენად, ინგლისურ ენაზე სწავლებას ძალიან ფართო არეალი აქვს.

ალბათ, შეიძლება იმასაც ველოდოთ, რომ ამგვარი პროექტის შესაძლო შედეგი კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ წინასწარი კვლევისა და შეფასების საგანი ხდება, მაგრამ ასე არ მომხდარა. თუმცა შეიძლება უამრავ ყურადსაღებ კრიტერიუმს დავეყრდნოთ, რადგანაც ინგლისურ ენაზე სწავლება ფართოდ გავრცელდა ჩრდილოეთ ევროპაში. ასევე უკვე ათი წელია განვითარდა გერმანიაში. ჩრდილოეთ ევროპაზე გაგვაჩნია კვლევები და ჩვენებები, რომელიც მრავალ სხვადასხვა პუბლიკაციაში<sup>1</sup> წარმოვადგინე. გერმანიასთან დაკავშირებით ნამდვილი შეფასება გაკეთდა უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელთა კონფერენციაზე სახელწოდებით: „Hochschulrektorenkonferenz“, რაც

---

<sup>1</sup> Europe : l'enjeu linguistique, Paris : La documentation française, Collection Études-ევროპა: ენობრივი მიზანი, პარიზი: ფრანგული წყარო, სერია კვლევები, 160 გვ. გეოპოლიტიკური ჟურნალი, „უმაღლესი სკოლის შუამავალი ენა, ხარისხის პრობლემა“, diplomweb.com, <http://www.diplomweb.com/L--enseignement--superieur--en.html>

საფრანგეთისათვის იგივეა, რაც უნივერსიტეტებისა და უმაღლესი სკოლების რექტორების კონფერენცია<sup>2</sup>.

ჩრდილოეთ ევროპაში, ინგლისურის გამოყენება კომპენსაციის საშუალება იყო ეროვნული ენების სუსტი გავრცელებულობის გამო, რომელიც უნივერსიტეტების საერთაშორისო თვალსაზრისით მიმზიდველობის გამო, ნაკლად იყო მიჩნეული. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც უნივერსიტეტების გაცვლითი პროგრამა „Erasmus“-ი შეიქმნა. ამ პროგრამით სტუდენტები მასობრივად დაიდრნენ ბრიტანულ, ფრანგულ და ესპანურ უნივერსიტეტებში. ამის მისაღწევად ჩრდილოეთისა და ნიდერლანდების უნივერსიტეტებმა შექმნილი კომპეტენცია ანუ ინგლისურის ცოდნა გამოიყენეს. ამ უნივერსიტეტებმა შეძლეს მიეზიდათ უცხოელი სტუდენტების მნიშვნელოვანი რაოდენობა. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს პროპორცია გაცილებით ნაკლებია, რაც არსებობს საფრანგეთში. სამაგიეროდ, უარყოფითი შედეგები მრავლადაა და სულ უფრო თვალშისაცემია.

-მაღალი დონის სწავლებაში ეროვნული ენები ქრება. ნიდერლანდებში მაგისტრატურაში სწავლება ძირითადად ინგლისურად მიმდინარეობს. ასე მაგალითად, 2008-2009 წლებში მასტრიხტის უნივერსიტეტში 46 მაგისტრიდან ერთადერთი იყო, რომელიც ინგლისურად არ სწავლობდა. ისიც იმიტომ, რომ ნიდერლანდების სამართალს სწავლობდა.

-სწავლების ეს მეთოდი მთლიანად ამერიკული უნივერსიტეტებისაგან აღებული. სწავლების ფორმა კარგავს სპეციფიკურ თავისებურებას და ანგარიშს არ უწევს ევროპულ სამეცნიერო შრომებს.

-ნიდერლანდებში, უნივერსიტეტები არა მარტო აღარ იყენებენ ნიდერლანდურს, არამედ ის საერთაშორისო ღიაობა, რომელიც მათ ტრადიციულად ახასიათებდა და ვლინდებოდა სხვა ენების კერძოდ, გერმანულისა და ფრანგულის ცოდნაში, დღეს უცნობია სტუდენტებისათვის.

-თუკი მიჩნეულია, რომ მასწავლებლები ინგლისურს კარგად ფლობენ, ისინი მას ისე ვერ იყენებენ როგორც ამას ანგლოფონი გააკეთებდა. ლექციებს ყვებიან, სტუდენტებთან აზრთა გაცვლა შეზღუდულია და ეს ხდება ხშირ შემთხვევაში მიახლოებითი ფორმებით, ინფორმაციის დაკარგვა მნიშვნელოვანია ცოდნის გადაცემისას. შედეგი მიახლოებითია, მაგრამ ხელისუფლების ორგანოები ვერ ბედავენ ამის თქმას, რომ ამ ქვეყნებში სწავლების დონემ იკლო. გერმანიაში ეს გაიზრეს ათწლიანი ანგლიციზაციის შედეგად. უნივერსიტეტების რექტორების მიერ გაკეთებული დასკვნა მიუკერძოებელია.

-თუკი დაუშვებენ, რომ ინგლისურ ენაზე სწავლებამ შეიძლება გაზარდოს ზოგიერთი კურსის მიმზიდველობა, ისინი ასკვნავენ, რომ ეს კურსები იზიდავენ ძირითადად უცხოელ სტუდენტებს, რომელთა დონე ინგლისურში არასაკმარისია. ბევრ გერმანელ პედაგოგს არ

<sup>2</sup> Hochschulrektorenkonferenz, გერმანული უნივერსიტეტების ენობრივი პოლიტიკა. მე-11-ე პლენარული ასამბლეის რეკომენდაცია, 2011 წლის 22 ნოემბერი, ბერლინი.  
<http://www.hrk.de/positionen/beschluesse--nach--thema/convention/empfehlung--sprachenpolitik--an--deutschen--hochschulen/>

გააჩნია სათანადო კომპეტენცია ინგლისურში, იმისათვის, რომ ინგლისურად ჩატარებულ სწავლება მაღალი დონის იყოს.

-ინგლისურზე აქცენტის გაკეთება ხდება სხვა ენებისა და უნივერსიტეტების საერთაშორისო ღიაობის საზიანოდ.

-საერთაშორისო სწავლებაში გერმანული ენის ცალკე დაყენება იმ ძალისხმევას ეწინააღმდეგება, რომელიც გამოიყენება მსოფლიოში ამ ენის გავრეცელებისა და პრესტიჟსათვის.

-მაშინ, როდესაც საერთაშორისო გაცვლებმა საშუალება უნდა მისცეს სტუდენტებს, მკვლევარებსა და მასწავლებლებს, რომლებიც უცხოეთიდან ჩამოდიან იცნობდნენ მასპინძელი ქვეყნის კულტურასა და ენას, გერმანიაში ეს ასპექტი მეორე პლანზეა გადატანილი.

-ინტერნაციონალიზაციის ეს ხერხი მართვის თვალსაზრისით უამრავ პრობლემას ქმნის, რომლებსაც უნივერსიტეტები ვერ უმკლავდებიან. ანგლიციზაციის ადგილის მიხედვით უნივერსიტეტების ხელმძღვანელები საერთაშორისო ღიაობას ემხრობიან, რომელიც უნივერსიტეტთა ლინგვისტურ პოლიტიკას ეფუძნება. ის რეკომენდაცია, რომელიც მათ 2011 წლის ნოემბერში მიიღეს, ამ პოლიტიკის ორმაგ მიზანს ემსახურება, დაიცვას გერმანული ენის როგორც აზრის გამოხატვისა და ცოდნის გადაცემის როლი და უზრუნველყოს მრავალფეროვანი და მაღალი დონის ლინგვისტური მომზადება, რომელიც უცხოელი მკვლევარებისა და სტუდენტების გერმანულში მომზადებას, ინგლისურის ცოდნასა და ასევე სხვა უცხოური ენების ცოდნას გულისხმობს. ზოგადად, საფრანგეთში ცდილობენ გააკეთონ ის, რაც 10 წლის წინ გაკეთდა გერმანიაში და რასაც ზურგი აქციეს დღეს გერმანიის უნივერსიტეტების ხელმძღვანელებმა, იმ ძალზე უარყოფითი შედეგების მიხედვით, რომელთა დადგენაც მათ შეძლეს. ისიც შესაძლებელია დავუმატოთ, რომ თუკი ჩრდილოეთის ქვეყნებმა, ნიდერლანდებმა, გერმანიამ ადრე დაუშვეს, რომ შეუძლიათ გათვლა ინგლისურ ენაზე გააკეთონ და დღეს დარწმუნდნენ, რომ არსებობს ერთგვარი ზღვარი. წინასწარი რეალური მდგომარეობით, საფრანგეთში არ არსებობს ის კომპეტენცია, რომ გათვლა ინგლისურზე გაკეთდეს.

სამაგიეროდ, მათ აქვთ კომპეტენცია, რომ გათვლა გაკეთდეს ფრანგულ ენაზე, მიიღოს ამ ენის სპეციალისტები და დაეყრდნოს კარგად ორგანიზებულ და საერთაშორისო დონეზე კარგად ჩამოყალიბებულ საერთაშორისო ორგანიზაციებს, უზრუნველყოს უცხოელი სტუდენტებისა და მკვლევარებისათვის ფრანგულ ენაში მომზადება ფრანგული როგორც უცხო ენა(FLE) და ფრანგული როგორც მეორე ენა(FLS) საყოველთაოდ აღიარებული კომპეტენციების წყალობით. ის, რაც უმაღლესმა სკოლებმა უნდა უფრო შეთავაზონ, რითაც მათ განასხვავებს ანგლოფონური და ჩრდილოეთის უნივერსიტეტებისაგან, არის უცხოურ ენებში ღრმა და მრავალფეროვანი მომზადება. სწორედ, ამ პლურილინგვისტური კომპეტენციის განვითარებას უნდა მოახმაროს მთელი თავისი ძალები. ფრანგული ეკონომიკა წელში ვერ

გაიმართება თუკი უმაღლესს განათლებაში ცუდი ხარისხით ვასწავლით ინგლისურს, ამის მიღწევა შესაძლებელი იქნება ჩვენი ლინგვისტური რესურსისათვის სათანადო მნიშვნელობის მინიჭებით, ჩვენს უნივერსიტეტებში სტუდენტებისათვის იმ ენების შეთავაზებით, რომლებიც მათ საშუალებას მისცემს მყარი და ხანგრძლივი პარტნიორობა დაამყარონ სხვა ქვეყნის უნივერსიტეტებთან და პირველ რიგში კი ჩვენ უახლოეს პარტნიორებთან. ალბათ, უმჯობესი იქნება, რომ უმაღლესი განათლებისა და კვლევის მინისტრმა ქალმა თავისი სახელი ახალ ლინგვისტურ ინიციატივას დაუკავშიროს, ვიდრე მიმბამველ და მოძველებულ კანონპროექტს.